საგადახდო დავალება
Payment Order

1600251152 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 16/09/2020

გადამხდელი / Sender

შპს ჰილს დეველოპმენტი, 404993600

რეფერენსი / Ref. Num.

3809642601

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE90TB7792036080100002

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ჰილს დეველოპმენტი, 404993600*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404993600

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

16/09/2020

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000362 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო



ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21 ი1737-20

"09" 09 2020 წ.

დადგენილება №000362
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

09.09.2020წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ლევან ჯღარკავამ განვიხილე, 2020 წლის 9 სექტემბრის №000362 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ №404993600, დირექტორი – ანრი ბაციკაძე, მის: ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი №82) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში (ს/კ №01.14.10.001.077), შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4300669 13.12.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: კერძოდ: შეცვლილია შენობის ფორმა. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა, გაბარიტი და რაოდენობა. შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია სამანქანო პანდუსების ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და გაბარიტი. -1 ნიშნულზე „ბ/9-ბ/9" ღერძის გარეთ დამატებულია ფართი. +0.00 ნიშნულზე „ბ/19-ბ/20" გაუქმებულია აივანი. +20.40 ნიშნულზე „ბ/ც-ბ/დ" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა და დამატებულია ლითონის კოლონა. შეცვლილია კედლის ფორმა, რის გამოც შეცვლილია საცხოვრებელი და საზაფხულო ფართის გაბარიტი. +23.80 ნიშნულზე დამატებულია ლითონის და მონოლითური კოლონები. კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია საზაფხულო ფართის გაბარიტი. +27.20 ნიშნულზე შეცვლილია ფილის ფორმა და დამატებულია კოლონები. შეცვლილია საზაფხულო და საცხოვრებელი ფართის გაბარიტი. +30.60, +34.00 და +37.40 ნიშნულებზე „ბ/ბ-ბ/დ" მონაკვეთში დამატებულია ლითონის სვეტები. შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია საცხოვრებელი და საზაფხულო ფართის გაბარიტი. +37.40 ნიშნულზე შეცვლილია დუპლექსის კიბის ფორმა. +40.80 ნიშნულზე შეცვლილია სართულის ფილის ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია საცხოვრებელი და

საზაფხულო ფართების გაბარიტი. „ბ/2-ბ/2" ღერძთან დამატებულია ლიფტის შახტის ბოლო და კიბე. +44.20 ნიშნულზე შეცვლილია სართულის ფილის ფორმა და გაბარიტი. გაუქმებულია ლიფტები. აღნინული ნიშნულის თავზე შეცვლილია გადახურვის ფორმა.

2020 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000362 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01202401577-17 27.08.2020წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში (ს/კ №01.14.10.001.077), განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4300669 13.12.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი" დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტითასი) ლარით, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში (ს/კ №01.14.10.001.077), პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისთვის;

2. შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ჰილს დეველოპმენტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა

№000362 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

შეცვლილია შენობის ფორმა. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა, გაბარიტი და რაოდენობა. შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია სანამქანო პანდუსების ფორმა.
ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და გაბარიტი.
-1 ნიშნულზე „ბ/9-ბ/9" ღერძის გარეთ დამატებულია ფართი.
+0.00 ნიშნულზე „ბ/19-ბ/20" გაუქმებულია აივანი.
+20.40 ნიშნულზე „ბ/ც-ბ/დ" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა და დამატებულია ლითონის კოლონა. შეცვლილია კედლის ფორმა, რის გამოც შეცვლილია საცხოვრებელი და სახაფხულო ფართის გაბარიტი.
+23.80 ნიშნულზე დამატებულია ლითონის და მონოლითური კოლონები. კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია საზაფხულო ფართის გაბარიტი.
+27.20 ნიშნულზე შეცვლილია ფილის ფორმა და დამატებულია კოლონები. შეცვლილია საზაფხულო და საცხოვრებელი ფართის გაბარიტი.
+30.60, +34.00 და +37.40 ნიშნულებზე „ბ/ბ-ბ/დ" მონაკვეთი დამატებულია ლითონის სვეტები. შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია საცხოვრებელი და საზაფხულო ფართი გაბარიტი.
+37.40 ნიშნულზე შეცვლილია დუპლექსის კიბის ფორმა.
+40.80 ნიშნულზე შეცვლილია სართულის ფილის ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია საცხოვრებელი და საზაფხულო ფართების გაბარიტი. „ბ/2-ბ/2" ღერძთან დამატებულია ლიფტის შახტის ბოლო და კიბე.
+44.20 ნიშნულზე შეცვლილია სართულის ფილის ფორმა და გაბარიტი. გაუქმებულია ლიფტები. აღნინული ნიშნულის თავზე შეცვლილია გადახურვის ფრომა.

უფროსი სპეციალისტი /კ. გიორგობიანი /

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-10/01192771542-17

"18" 11 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში (საკ. კოდი: №01.14.10.001.077) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (C ბლოკი) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

დამკვეთი – შპს „ჰილს დეველოპმენტი"
პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4300669 13.12.2018წ. (№4405065 07.03.2019წ)

მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5000.0
საერთო ფართობი: (კვ.მ) 5523..5
საცხოვრებელი ფართობი: (კვ.მ) 2760.2
საზაფხულო ფართობი: (კვ.მ) 903.0
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: (კვ.მ) 488.3
დამხმარე ფართობი: (კვ.მ) 108.7
ავტოსადგომის ფართობი: (კვ.მ) 1263.3

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 177-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში (საკ. კოდი: №01.14.10.001.077) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (C ბლოკი) – IV კლასი).
2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01192771542-17 04.10.2019წ. განცხადება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396